



## ბრძანება №13

„04“ 10 2017 წელი

ქ. თბილისი

### გარე დაკვირვების გავლის მსურველ პირთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „გარე დაკვირვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის მე-3, მე-4 და მე-17 მუხლისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 04 ოქტომბრის N1200355 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს გარე დაკვირვების გავლის მსურველ პირთა რეგისტრაცია 2017 წლის 04 ოქტომბრიდან 2017 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
2. გარე დაკვირვების საპილოტე რეჟიმში განხორციელების მიზნით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში რეგისტრაციის გავლის უფლება მიეცეთ მხოლოდ შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის მოთხოვნებს.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - [tpdc.gov.ge](http://tpdc.gov.ge) განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი